ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 4042429

გაცემის თარიღი: 06/07/2018 გაცნობის თარიღი: 09/07/2018

განცხადების ნომერი: AR1572581

შემოსვლის თარიღი: 30/01/2018

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.19.36.002.055
- მისამართი: ქალაქი თბილისი , აეროდრომის დასახლება, , I ქ. მე-2 გას. N7-ის მომიჯნავედ / ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა III , N 11 / ქალაქი თბილისი , აეროდრომის დასახლება 3-ე ქ. N13 / ქალაქი თბილისი , აეროდრომის დასახლება მე-3 ქ. N13ა / ქალაქი თბილისი , აეროდრომის დას. I ქუჩა 2-ე გასასვლელი N7
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1027.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "იქს-სტილი+" (406170361)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები**
- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- თემური გაგნიაშვილი პ/ნ 01027062813
- მისამართი: თბილისი აეროდრომის დას. ზაქარია მხარგრძელის ქ. N 6ა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის №2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 30 იანვრის AR1572581 განცხადებით მომართა თემურ გაგნიაშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის №2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის № 2933397 ბრძანებით ქალაქ თბილისში, დასახლება აეროდრომი , ქუჩა III , N 11 / ქალაქი თბილისი , აეროდრომის დასახლება 3-ე ქ. N13 / ქალაქი თბილისი , აეროდრომის დასახლება მე-3 ქ. N13ა / ქალაქი თბილისი , აეროდრომის დას. I ქუჩა 2-ე გასასვლელი N7 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.19.36.002.046 (995 კვ.მ) მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 20 მაისის N2317 ბრძანებით, ქ. თბილისში, აეროდრომის დასახლების III ქუჩის ##11,13-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა კ2=4.0.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა #01.19.36.002.046, #01.19.36.002.047 მიწის ნაკვეთების გაერთიანება. რის შედეგადაც შეიცვალა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, ფართობი და საკადასტრო კოდი.

წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის № 2933397 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 20 მაისის N2317 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ახალი საკადასტრო კოდის დაფიქსირების მიზნით.

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მერის განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხი საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას საკითხი განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 ივნისის №01.011817925 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 20 მაისის N2317 ბრძანებაში და ა) სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონი, აეროდრომის დასახლება, I ქ. მე–2 გას. N7–ის მომიჯნავედ/ აეროდრომის დასახლება, III ქუჩა, N11/აეროდრომის დასახლება მე–3 ქ. N13/ აეროდრომის დასახლება მე–3 ქ. N13ა / აეროდრომის დასახლება, I ქ. მე–2 გასასვლელი N7-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.19.36.002.055) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „1.ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონი, აეროდრომის დასახლება, I ქ. მე–2 გას. N7–ის მომიჯნავედ/ აეროდრომის დასახლება, III ქუჩა, N11/ აეროდრომის დასახლება მე–3 ქ. N13/აეროდრომის დასახლება მე–3 ქ. N13 ა/ აეროდრომის დასახლება, I ქ. მე–2 გასასვლელი N7-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.19.36.002.055) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს კ-2=4.0“

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების

პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის № 2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ბრძანება

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის №2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.19.36.002.055 ფართობი 1027 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #892018022472; რეგისტრაციის თარიღი 16/01/2018წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #892018022472; რეგისტრაციის თარიღი 16/01/2018 წ.);
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის №2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 ივნისის №01.011817925 ბრძანება;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის №2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

PDF ფორმატში ჩამოტვირთვა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 4137059

გაცემის თარიღი: 30/08/2018 გაცნობის თარიღი: 30/08/2018

განცხადების ნომერი: AR1624456

შემოსვლის თარიღი: 22/08/2018

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.19.36.002.055
- მისამართი: ქალაქი თბილისი , აეროდრომის დასახლება, , I ქ. მე-2 გას. N7-ის მომიჯნავედ ; ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა III , N 11 ; ქალაქი თბილისი , აეროდრომის დასახლება 3-ე ქ. N13 ; ქალაქი თბილისი , აეროდრომის დასახლება მე-3 ქ. N13ა ; ქალაქი თბილისი , აეროდრომის დას. I ქუჩა 2-ე გასასვლელი N7
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1027.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "იქს-სტილი+" (406170361)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება**
- **IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- რამაზი გუგუნაშვილი პ/ნ 12001036838
- მისამართი: გარდაბანი ს. საცხენისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის N 2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შეტანილ იქნა ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06.07.2018წ N **4042429 ბრძანებით, კერძოდ** დაფიქსირდა ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.19.36.002.055 ფართობი 1027 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #892018022472; რეგისტრაციის თარიღი 16/01/2018წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #892018022472; რეგისტრაციის თარიღი 16/01/2018 წ.).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 22 აგვისტოს N AR1624456 განცხადებით მომართა რამაზი გუგუნაშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის N 2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთისთვის დადგენილი უკანა ეზოს გაუქმებასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის N 2933397 ბრძანებით ქალაქ თბილისში, დასახლება აეროდრომი , ქუჩა III , N 11 / აეროდრომის დასახლება 3-ე ქ. N13 / აეროდრომის დასახლება მე-3 ქ. N13ა / აეროდრომის დას. I ქუჩა 2-ე გასასვლელი N7-ში, (ს/კ N01.19.36.002.046) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. აღნიშნული პირობებით მიწის ნაკვეთს განესაზღვრა უკანა ეზო.

განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია აღნიშნული უკანა ეზოს გაუქმება, რაზედაც განმარტავს, რომ მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთის უკანა ეზოს ტერიტორიაზე განთავსებულია შენობა.

,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების მე-19 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად დასაშვებია, მიწის ნაკვეთის უკანა ეზოს ტერიტორიაზე შენობის ან მისი ნაწილის განთავსება იმ შემთხვევაში, თუ ამ მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთის უკანა ეზოს ტერიტორიაზე განთავსებულია შენობა, ან განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებულია შენობის განთავსება, ისე რომ დაცული იქნეს ამ მუხლის მოთხოვნები იმ სხვა მოსაზღვრე მიწის ნაკვეთ(ებ)ის მიმართ, რომელთა უკანა ეზოს ტერიტორიაზე შენობა არ არის განთავსებული ან განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის N 2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

ბრძანება

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის N 2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: აღნიშნული ბრძანების გაფრთხილება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

,,გაფრთხილება:

1. დაცულ იქნეს მიწის ნაკვეთისთვის დადგენილი განაშენიანების რეგულირების ხაზი.

• საზოგადოებრივი საზღვრები: გააჩნია ჩრდილოეთით, გზის მხრიდან;

• უკანა ეზო: .....

• მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე: განისაზღვროს საზოგადოებრივი საზღვრის მხრიდან , ფორმულით H=L/Y, სადაც;

- H - განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის ნიშნულს;

- L წარმოადგენს დაშორებას შენობასა და საზოგადოებრივ სივრცეს ან/და სამეზობლო საზღვარს შორის.

- Y= წარმოადგენს კოეფიციენტს, რომლის მნიშვნელობაა:

გ) 0.4 ყველა სხვა ზონისათვის.

შენიშვნა: მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები, მათი მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრის და მათი ნაწილების საზოგადოებრივ სივრცეში შეჭრის კონკრეტული წესები იხ. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“-ს V თავი“.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის N 2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 6 ივლისის N 4042429 ბრძანებასთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერი ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთარქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7,მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

PDF ფორმატში ჩამოტვირთვა